ისლამი და კულტურული იდენტობა ევროპაში (ვიდეო რგოლები)

გაკვეთილის გეგმა

მასწავლებლის სახელმძღვანელო

მოსწავლის წასაკითხი მასალა

მოსწავლის სამუშაო რვეული

ვიდეო რგოლები:

მუსულმანი ქალები ლიონში

თურქი მასწავლებელი

ჰიჯაბი ევროპაში

გალობა - თავისუფალი (ჰიჯაბი)/Nasheed – Free (Hijab)

გაკვეთილის გეგმა

ისლამი და კულტურული იდენტობა ევროპაში

გაკვეთილის მიზნები:

- მოსწავლეები განიხილავენ ევროპაში მუსულმანი ქალების გამოცდილებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
- მოსწავლეები გაიგებენ, რა გავლენა აქვს კულტურულ ცრურწმენას მუსულმან ქალებზე (ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში თავსაბურავების ლეგალური აკრძალვა).
- მოსწავლეები შეიცნობენ შთაბეჭდილებაზე დაფუძნებული სიტყვის, გამოსახულებისა და ხმის ძალას.

ლექსიკონი:

ისლამი, მუსულმანი, თავსაბურავი, პირბადე, ჰიჯაბი, ყოველდღიური ლოცვები, იდენტობა, ათეიზმი.

მედია

მუსულმანი ქალები ლიონში, საფრანგეთი 2007წ. (2:47)

თურქი მასწავლებელი, AlJazeeraEnglish, 2008წ. (3:05)

ჰიჯაბი ევროპაში, Dir by Xavi Sala, 2005წ. (3:36)

Nasheed - Free (Hijab),სამი იუსიფის შესრულებით(3:11)

საჭირო მასალები:

- მასწავლებლის სახელმძღვანელო
- მოსწავლის სამუშაო რვეული
- მოსწავლის წასაკითხი მასალა
- ვიდეო რგოლები

დრო: 50 წთ.

გაკვეთილის პროცედურები:

1. წარუდგინეთ გაკვეთილის თემა კლასს.
2. დაურიგეთ მოსწავლის სამუშაო რვეული.
3. ჩართეთ ვიდეო რგოლები. ამასობაში, მოსწავეებს შეუძლიათ პასუხები გასცენ კითხვებს.
4. უხელმძღვანელეთ მოსწავლეებს ვიდეო რგოლების განხილვისას მედია კითხვებისა და პასუხების მასწავლებლის სახელმძღვანელოს მიხედვით.
5. მომდევნო კითხვების გამოყენებით განიხილეთ ფილმის საიმედოობა და დაფინანსების წყაროები.

მასწავლებლის სახელმძღვანელო

ისლამი და კულტურული იდენტობა ევროპაში

1. გადახედეთ გაკვეთილის თემის წარდგენას.
2. გააკეთეთ ორგანიზება და გადაიღეთ ქსეროასლები საკლასო სამუშაოსათვის.
3. წარადგინეთ გაკვეთილის თემა.

გაკვეთილის თემის წარდგენა

ფილმისა და ვიდეოს ნახვა ჩვენი ყოველდღიური გამოცდილების ნაწილია. ხშირად, მოძრავი გამოსახულების ძალა გავლენას ახდენს ჩვენს იდეებსა და აზრებზე. ამ გაკვეთილში თქვენ ნახავთ 4 მოკლე ვიდეო რგოლს ევროპაში მუსულმანი ქალების კულტურული იდენტობის თემაზე. ვიდეოები 4 ევროპულ ქვეყანაშია გადაღებული - საფრანგეთი, თურქეთი, ესპანეთი და ინგლისი. მედიის ფორმები, რომლებსაც ნახვთ, შეიცავს ახალი ამბების ორ რეპორტაჟს, ერთ მოკლემეტრაჟიან ფილმს და ერთ მუსიკალურ ვიდეოს. თითოეული ვიდეო რგოლი უფრო გრძელი გადაცემის ან პროდუქციის ნაწყვეტია.

თითოეული ნაწყვეტის ნახვის შემდეგ თქვენ უნდა შეავსოთ სამუშაო რვეული, სადაც გთხოვენ, რომ გააანალიზოთ ფილმის შემქმნელების მესიჯი და გამოყენებული ტექნიკა. ოთხივე ნაწყვეტის ნახვის შემდეგ გვექნება დისკუსია: სიტყვები, გამოსახულება და ხმა როგორ გავლენას ახდენს ღრმა და კომპლექსური საკითხების აღქმაზე.

4. წააკითხეთ მოსწავლეებს საკითხავი მასალა (არჩევითი: საკითხავი მასალა ერთი დღით ადრე საშინაო დავალებად მიეცით).
5. დაურიგეთ მოსწავლეებს სამუშაო რვეულები. ვიდეო ნაწყვეტების გასარჩევად ამუშავეთ მოსწავლეები ინდივიდუალურად ან წყვილში.
6. ჩართეთ ვიდეო რგოლები; წაიკითხეთ მოკლე შესავალი თითოეულ ნაწყვეტზე და შუალედებში დააპაუზეთ, რათა მოსწავლეებმა პასუხების დაწერა შეძლონ.
7. მედია კითხვებისა და პასუხების მასწავლებლის სახელმძღვანელოს მიხედვით წარმართეთ დისკუსია ვიდეო რგოლებზე. სთხოვეთ მოსწავლეებს, თითოეული ვიდეო რგოლიდან მოიყვანონ კონკრეტული მტკიცებულება, რომელიც მათ პასუხებს გაამყარებს.

მუსულმანი ქალები ლიონში, საფრანგეთი (2:47)

ფილმი 1. წარდგენა

ეს ნაწყვეტი არის საერთაშორისო ახალი ამბების სატელევიზიო არხიდან France 24. “About France 24” ვებ გვერდი აკეთებს მოხსენებას : France 24-ის მიზნობრივ აუდიტორიას არაფორმალური ლიდერები წარმოადგენენ. ის გადაიცემა ევროპაში, შუა აღმოსავლეთში, აფრიკაში, ნიუ იორკსა და ვაშინგტონში. საბოლოოდ, მას მთელი მსოფლიოს მასშტაბით ექნება დაფარვა. სატელევიზიო არხ France 24–ს საერთაშორისო განვითარების ახალი ხედვა შემოაქვს, რომელიც ახალისებს უფრო მეტ პლურალიზმს მსოფლიოში, სადაც ინფორმაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს. ის უზრუნველყოფილია საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსით, რაც მას სარედაქციო დამოუკიდებლობის გარანტიას უქმნის და საშუალებას აძლევს, მაყურებელს შეთავაზოს ახალი და ორიგინალური რეპორტაჟები.“ France 24-ს ორი აქციონერი თანაბარი წილით ფლობს - საფრანგეთის უდიდესი ქსელი TF1 და ნაციონალური საზოგადოებრივი სატელევიზიო არხი France Télévisions.

მედია კითხვებისა და პასუხების ნიმუში

1. რა არის რეჟისორის გზავნილი იმ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც დგას მუსულმანი ქალი ლიონში, საფრანგეთში?	**სავარაუდო პასუხი:** მუსულმან ქალებს სირთულეები აქვთ ყოველდღიურ ლოცვასთან, საჯაროდ პირბადის ტარების სამუშაო ადგილის ცრურწმენის გამო და კანონის გამო, რომელიც თავსაბურავს კრძალავს. ოჯახური ურთიერთობები დაიძაბა ქალებისთვის, მაგალითად სალიმასთვის, რომელმაც მიიღო ისლამი, მის ნათესავებს კი არასწორი შეხედულება აქვთ ისლამზე. ზოგიერთ მუსულმან ქალზე კაცები დომინირებენ, იყენებენ ისლამის ინტერპრეტაციებს და აიძულებენ ქალებს, მათ დაემორჩილონ.
2. რა ტექნიკას იყენებს რეჟისორი მესიჯის გადმოსაცემად?	**სავარაუდო პასუხი:** კინორეჟისორი ირჩევს სამ ქალს. თითოეული მათგანის მეშვეობით წარმოაჩენს განსხვავებულ ხედვებს, თუ რას განიცდიან მუსულმანი ქალები ლიონში. პირველი არის ქალი, რომელიც 1963 წელს გადასახლდა საფრანგეთში; მეორე თინეიჯერობისას გახდა მუსულმანი და მესამე ქალი მუშაობს ორგანიზაციაში, რომელიც კაცების ქალებზე დომინირებას ეწინააღმდეგება. ქალების განსხვავებული გამოცდილების

შედეგად რეპორტაჟი გვაუწყებს : „დაუსრულებელ კომპრომისებში მუსულმანმა ქალებმა მაინც უნდა იპოვონ საკუთარი გზა, რომელიც გააერთიანებს საფრანგეთის კანონებსა და პირად რწმენას.“

თურქი მასწავლებელი, თურქეთი (3:05)

ფილმი 2. წარდგენა

ეს არის ნაწყვეტი AlJazeera English-დან, ინგლისურენოვანი ახალი ამბებისა და მიმდინარე მოვლენების არხიდან, რომლის სათავო ოფისი დოჰაშია. მისი „კორპორაციული პროფილის“ ვებ გვერდი გვაუწყებს: „Al Jazeera English მსოფლიოს პირველი გლობალური ინგლისურენოვანი ახალი ამბების არხია, რომლის სათავო ოფისი შუა აღმოსავლეთშია. ამ უნიკალური პოზიციიდან, Al Jazeera English ინგლისურენოვანი არხია, რომელიც ასახავს შუა აღმოსავლეთის მოვლენებს, აბალანსებს მიმდინარე ტიპური ინფორმაციის ნაკადს, ამბებს გადასცემს განვითარებადი მსოფლიოდან დასავლეთს და სამხრეთიდან ჩრდილოეთ ნახევარსფეროებს... არაბული და მუსლიმური სამყაროს ინოვაციური განვითარება Al Jazeera-ს არაბულ არხს ეფუძნება, რომელმაც შუა აღმოსავლეთში ახალი ამბების სახე შეცვალა. Al Jazeera English არის მზარდი ქსელის ნაწილი, რომელიც აფართოებს პერსპექტივას რეგიონულიდან გლობალური მასშტაბით თავისი ზუსტი, მიუკერძოებელი და ობიექტური გაშუქებით.“

მედია კითხვებისა და პასუხების ნიმუში

1. **როგორია რეჟისორის გზავნილი იმ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც დგას მუსულმანი ქალი თურქეთში?**	**სავარაუდო პასუხი:** თურქეთის მთავრობა კრძალავს თავსაბურავებს, აიძულებს მუსულმან ქალებს, გააკეთონ არჩევანი აღმსარებლობის მოთხოვნებსა და ქვეყნის კანონებს შორის. პოლიცია გამოედევნა უნივერსიტეტის ქალებს, რომლებმაც არჩიეს, თავსაბურავი ეტარებინათ. ქალების სამსახური და საგანმანათლებლო არჩევანი შეზღუდულია; მამაკაცებთან შედარებით, ისინი არათანაბარ პოზიციაში არიან.
2. **რა ტექნიკას იყენებს რეჟისორი მესიჯის გადმოსაცემად?**	**სავარაუდო პასუხი:** კინორეჟისორი ირჩევს საწყის საუნდტრეკად გამოიყენოს ქალის, დაწყებითი სკოლის მასწავლებლის ზეინეპ პიიადის ხმა, რომელიც საკუთარ თავს აღწერს, როგორც „ფემინისტი მუსულმანი ქალი“. პიიადის საუბრისას, კინორეჟისორი პერსონაჟი ქალის სახეს გვიჩვენებს. პოლიცია უპირისპირდება უნივერსიტეტში ქალებს, რომელთაც თავსაბურავები უკეთიათ, ქალები ერთიანდებიან საერთო პრობლემების გადასაჭრელად; თურქეთის მამრობითი სქესის წარმომადგენლების სამთავრობო სესია.

ჰიჯაბი ევროპაში, ესპანეთი (3:36)

ფილმი 3. წარდგენა

ეს არის ნაწყვეტი ესპანური მოკლემეტრაჟიანი დრამატული ფილმიდან, რომლის კინორეჟისორიცაა ხავი სალა. სალა მუშაობდა დირექტორად, რეჟისორის ასისტენტად და კინოს, ტელევიზიისა და კრეატიული რეკლამის სცენარისტად. ფილმი „ჰიჯაბი“ ნომინირებული იყო Goya–ს პრემიაზე ანუ ესპანურ ოსკარზე, საუკეთესო მოკლემეტრაჟიან ფილმებს შორის და გაიმარჯვა 2008 წლის Fargo–ს კინოფესტივალზე. სიტყვა „ჰიჯაბი“ ნიშნავს პირბადეს ან თავსაბურავს მუსულმანი ქალებისათვის. ამ ამონარიდში ახალ სკოლაში პირველ დღეს მისულ მოსწავლეს მასწავლებელი სთხოვს, მოიხადოს თავსაბურავი საკლასო ოთახში შესვლამდე.

მედია კითხვებისა და პასუხების ნიმუში

1. როგორია რეჟისორის გზავნილი იმ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც დგას მუსულმანი ქალი ესპანეთში?	**სავარაუდო პასუხი:** მოლოდინი, რომ მუსულმანი მდედრობითი სქესის მოსწავლეები ესპანეთში მოიხსნიან ჰიჯაბს, მტკივნეული და დამაბნეველი არჩევანია ისლამური რწმენის მქონე

	მოსწავლეებისათვის. ესპანელი მასწავლებლები არ გამოხატავენ თანაგრძნობას მუსულმანი მოსწავლეების რელიგიური გრძნობებისა და მოვალეობებისადმი. გადაწყვეტილება, მხარი დაუჭირო მუსულმანურ ჩაცმულობას, დიდი გამოწვევაა დივერსიფიცირებულ კლასში.
2. რა ტექნიკას იყენებს რეჟისორი მესიჯის გადმოსაცემად?	**სავარაუდო პასუხი:** კინორეჟისორი ყვება მოკლე ამბავს ახალგაზრდა მუსულმან ქალზე, რომელმაც ახალ სკოლაში მისვლის პირველ დღეს არჩევანი უნდა გააკეთოს ჰიჯაბის ტარებასა და მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ მის მიღებას შორის. ფილმის ძირითადი ნაწილი მოიცავს ურთიერთობას ფატიმას, მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის, რომელიც ცდილობს დაარწმუნოს ის, მოიხსნას ჰიჯაბი. ახალგაზრდა მსახიობის სახის გამომეტყველება წარმოაჩენს იმ დიდ გამოწვევას, რომლის წინაშეც ის დგას - რთული არჩევანი და შემდეგ მოსწავლეების დაჟინებული მზერა ახალ კლასში. სხვა მოსწავლე, რომელიც ატარებს ჰიჯაბს, წარმოაჩენს, რომ შესაძლებელია იყო რელიგიის ერთგული და სკოლაშიც ისწავლო.

Nasheed – Free, Britain/გალობა - თავისუფალი , ბრიტანეთი (3:11)

ფილმი 4. წარდგენა

ეს გახლავთ ნაწყვეტი ვიდეოდან, რომელსაც ფონად ადევს ბრიტანელი მუსულმანის, სემი იუსეფის მუსიკა. თავისი ბიოგრაფიიდან გამომდინარე, რომელიც თავისივე ვებგვერდიდან ამოვიკითხეთ, იუსეფი გახლავთ კომპოზიტორი, მომღერალი და ბრწყინვალე მუსიკოსი. ის დაიბადა 1980 წლის ივლისში, აზერბაიჯანული წარმომომავლობის მუსიკოსთა ოჯახში. ამდენად, მუსიკა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. სემიმ სადებიუტო ალბომის „'alMu'allim'/ალმუალიმი“ მილიონზე მეტი ეგზემპლარი გაყიდა და მეორე ალბომის „ჩემი უმა“ გაყიდვებმა მთელი მსოფლიოს მაშტაბით სამ მილიონ ეგზემპლარს გადააჭარბა. სემი მორწმუნე მუსულმანია, რომელიც სიმღერებს აღიქვამს, როგორც სიყვარულის, თანაგრძნობის, მშვიდობის და ტოლერანტობის პროპაგანდას. ის ახალგაზრდა თაობებს მოუწოდებს, იამაყონ თავიანთი რელიგიითა და ინდივიდუალურობით. ჟურნალი „თაიმი“ მას ისლამის უდიდეს როკვარსკვლავს უწოდებს. ეს ვიდეო შექმნა და YouTube-ზე გამოაქვეყნა ოცი წლის მუსულმანმა.

მედია კითხვებისა და პასუხების ნიმუში

1. **როგორია რეჟისორის გზავნილი იმ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც დგას მუსულმანი ქალი ევროპაში?**	**სავარაუდო პასუხი:** მუსულმან ქალებს აკრიტიკებენ არამუსულმანი წარმომავლობის ევროპელები, რომლებიც ვარაუდობენ , რომ ისინი ზეწოლას განიცდიან და სასოწარკვეთილნი არიან იმის გამო, რომ უწევთ ჰიჯაბის ტარება. რეჟისორი შთაგვაგონებს, რომ მუსულმან ქალებს ესაჭიროებათ არა "განთავისუფლება", არამედ გაგება. კინორეჟისორის აღქმიდან გამომდინარე, მუსულმანი ქალი თავად ირჩევს, ატაროს ჰიჯაბი, როგორც მოკრძალების, ღირსების და პატიოსნების გამოხატულება და ეს არჩევანი ადასტურებს ადამიანების თავისუფლების უფლებას და თანასწორობას.
2. **რა ტექნიკას იყენებს რეჟისორი მესიჯის გადმოსაცემად?**	**სავარაუდო პასუხი:** რეჟისორი ქმნის ვიდეოს, რომელსაც ფონად ადევს ცნობილი ბრიტანელი მუსულმანის სიმღერა, რომელსაც ქვეტექსტად დაუტანა ამაყი მუსულმანი ქალების გამოსახულებები, რომლებიც ჰიჯაბს ატარებენ. რეჟისორი ამ გამოსახულებებს სამყაროს ბუნების სილამაზეს ადარებს. ის ამით

გვაფიქრებინებს, რომ ჰიჯაბის ტარება ასოცირდება ყვავილთან, მთებთან, მზის ჩასვლასთან და მიუთითებს სურათებს, სადაც მუსულმანი ქალები, მამაკაცები და ბავშვები ლოცულობენ .

მომდევნო კითხვები:

- იმსჯელეთ, შესაძლებელია თუ არა რეჟისორების და სპიკერების შეხედულებები ზეგავლენის ქვეშ იყოს მათი ეროვნების, რელიგიისა და სქესის მიხედვით.
- ვინ შეიძლება მიიღოს სარგებელი თითოეული ფილმიდან და ვინ შეიძლება დაზიანდეს?
- რა მნიშვნელოვანი ინფორმაცია დარჩა ამ ნაწყვეტს მიღმა?
- რამდენად სანდოა ეს წყაროები?
- ფიქრობთ, რომ ეს ვიდეო რგოლები წარმოგვიდგენს დაბალანსებულ ხედვას ევროპაში თავსაბურავების აკრძალვის პრობლემასთან მიმართებაში? რატომ კი, ან რატომ - არა?
- რა პერსპექტივებს ხედავთ ევროპაში თავსაბურავების აკრძალვასთან დაკავშირებით?
- შეადარეთ სამი კინოპროდუქტის ეფექტურობა და ემოციური ზეგავლენა: ახალი ამბების გადმოცემა, დრამატული ფილმი და მუსიკალური ვიდეო.
- რა ტიპის ქმედებების განხორციელებაა შესაძლებელი თითოეული ფილმის საპასუხოდ?
- იცნობთ თუ არა რომელიმე ჯგუფს, რომელიც რელიგიური ტოლერანტობის საკითხებზე მუშაობს?

ისლამი და კულტურული იდენტობა ევროპაში

მოსწავლეების საკითხავი

რატომ უნდა შევისწავლოთ გლობალური მედია პერსპექტივები?

გლობალური მედია ეკონომიკური და კულტურული გლობალიზაციის პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობს. დღეს ადამიანს საფრანგეთში შეუძლია შევიდეს MSNBC ან The Onion ვებგვერდზე და ნახოს კომენტარები აშშ-დან; ხოლო ამერიკაში შეუძლიათ, ნახონ საფრანგეთის ხედვა სხვადასხვა საკითხზე ფრანგული პრესსააგენტოს გვერდზე ან ფრანგი ახალგაზრდის მიერ გადაღებულ ვიდეოს უყურონ. როდესაც ვკითხულობთ ვებგვერდზე ინფორმაციას, ვუყურებთ YouTube ვიდეოს, ვათვალიერებთ ჟურნალის ყდას, ან ვუსმენთ პოდკასტს, ჩვენ გარკვეულ გზავნილებს ვიღებთ მსოფლიოსგან. ამ გზავნილებს აქვს კონკრეტული მიზანი, ისინი იყენებს გარკვეულ ტექნიკას, რომ გავლენა მოახდინოს მაყურებელზე, მკითხველზე ან მსმენელზე. ჩვენი შესაძლებლობა, გავაკეთოთ სწორი არჩევანი, დამოკიდებულია კრიტიკული ანალიზის უნარზე და იმ მედიაგზავნილების შეფასებაზე, რომელსაც ვიღებთ.

ისლამური პირბადე ევროპაში

სიტყვა ჰიჯაბი არაბული სიტყვიდან მოდის და გამოიყენება იმ თავსაბურავის აღსაწერად, რომელსაც მუსულმანი ქალები ატარებენ. ევროპაში მთავრობები დებატებს მართავენ, მუსულმან ქალებს დართონ თუ არა ნება, ატარონ ჰიჯაბი სკოლაში ან სამუშაო ადგილზე. ბოლო წლებში ეს დებატები სასამართლო სხდომის დარბაზებში, სასადილო მაგიდასთან და მედიაში განხილვის საგნად იქცა. წამოიწია რელიგიური თავისუფლების, ქალთა თანასწორობის, საერო ტრადიციებისა და ტერორიზმის საშიშროების საკითხებმა.

ისლამის წმინდა წიგნი, ყურანი, რომელიც მუსულმანების მიერ მიიჩნევა, როგორც ღმერთის სიტყვა, მიუთითებს მუსულმან ქალებსა და კაცებს, რომ მოკრძალებულად ჩაიცვან. კაცებმა უნდა დაიფარონ სხეულის ნაწილი ჭიპიდან მუხლამდე. ქალებმა უნდა დაიფარონ ყველაფერი, გარდა სახისა, ხელებისა და ფეხის ტერფებისა (ქმრების წინაშე არ არიან ვალდებულნი, ასე მოიქცნენ). მუსულმანი სწავლულები დებატებს მართავენ მოკრძალებულად ჩაცმის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, რაც ყურანშია განმარტებული.

ჰიჯაბი საფრანგეთში, თურქეთში, ესპანეთსა და დიდ ბრიტანეთში

საფრანგეთს ჰყავს ყველაზე მრავალრიცხოვანი მუსულმანი მოსახლეობა დასავლეთ ევროპაში. საფრანგეთის მთავრობის 2004 წლის მონაცემებით, ისინი საფრანგეთის მოსახლეობის 8–10%-ს (5–6.5 მილიონს) შეადგენენ. ფრანგი მუსულმანი მოსახლეობის უმრავლესობას წინაპრები ჰყავს ალჟირის, მაროკოსა და ტუნისის ყოფილი ჩრდილოეთ აფრიკის კოლონიებიდან. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში მცხოვრები მუსულმანების უმრავლესობა საფრანგეთის მოქალაქეა, მუსულმანური საზოგადოების ზრდამ გამოიწვია ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფა. 2004 წელს საჯარო სკოლებში „შესამჩნევი“ რელიგიური სიმბოლოების აკრძალვა ბევრმა აღიქვა, როგორც ჰიჯაბის აკრძალვა.

თურქეთში მოსახლეობის დაახლოებით 99% მუსულმანია, მუხედავად იმისა, რომ თურქეთის სახელმწიფო არ არის რელიგიური ორიენტაციის. როდესაც 2006 წელს თურქეთმა განაცხადი შეიტანა ევროკავშირის წევრობაზე, ზოგიერთ წარმომადგენელს გაუჩნდა კითხვა, შეეძლო თუ არა ღარიბ მუსულმანურ სახელმწიფოს მათ რიგებში ჩაწერა. თავის მხრივ, ზოგიერთი თურქი დაინტერესდა, ევროკავშირი ხომ არ იყო „ქრისტიანული კლუბი“. თურქეთმა შეაჩერა ძველი კანონი საზოგადოებრივ ადგილებში - სკოლებში, უნივერსიტეტებსა და

სახელმწიფო დაწესებულებებში - თავსაბურავების ტარების შესახებ. 2008 წლის თურქეთის პარლამენტის მიერ შეთავაზებული წინადადება, თავსაბურავების ტარების შესახებ კანონის შემსუბუქების შესახებ, თურქეთის უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო.

ესპანეთს აქვს ძლიერი ესპანური მემკვიდრეობა 800 წლიანი მავრიტანული მმართველობის გამო, რომელიც 1942 წელს დასრულდა.

მაროკოელი მუშების ბოლოდროინდელი იმიგრაციის შედეგად ესპანეთში მუსულმანური მოსახლეობა 1 მილიონზე მეტი გახდა, რაც მთელი მოსახლეობის 2.3%–ს შეადგენს. 2008 წელს ესპანეთის თანასწორობის მინისტრმა (Equality Minister) გააკრიტიკა ჰიჯაბის ტარება, როგორც „ადამიანის უფლებების დარღვევა“, რომელიც მუსულმან ქალებსა და კაცებს შორის უთანასწორობას უწყობდა ხელს. მისი შენიშვნა მკაცრი კრიტიკის ქვეშ მოექცა ესპანეთის მუსულმანური წარმომადგენლობის მხრიდან. მუსულმანებმა თქვეს, რომ მინისტრს არ უნდა ელაპარაკა იმ თემაზე, რომლის შესახებაც ბევრი არაფერი იცოდა.

2001 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, ბრიტანეთში მუსულმანი მოსახლეობა 1.6 მილიონია, რაც მთელი მოსახლეობის 2.8%–ს შეადგენს. ბრიტანეთის მუსულმანური მოსახლეობა ძალიან ახალგაზრდაა; მათი 1/3–ის ასაკი 16 წელზე ნაკლებია; მუსულმანური საზოგადოების წარმომავლობა განსხვავებულია – აღმოსავლეთი აფრიკა, სამხრეთი აზია და ახლო აღმოსავლეთი. ბრიტანეთის მთავრობა მხარს უჭერს მულტიკულტურალიზმს და არ აქვს კანონი მუსულმანური ჩაცმულობის აკრძალვის შესახებ.

კითხვები მედია პერსპექტივებზე

როდესაც მედია შეტყობინებას ვიღებთ, მნიშვნელოვანია დავსვათ ძირითადი კითხვები: ვინ შექმნა ეს მედიადოკუმენტი და რა მიზნით? ვინ შეიძლება მიიღოს სარგებელი ამ მედიით და ვინ შეიძლება დაზარალდეს? რამდენად სანდოა ეს ინფორმაცია? რა ისეთი ინფორმაცია არ არის გათვალისწინებული, რაც შეიძლება დაგვეხმაროს?

SATURDAY, FEBRUARY 2, 2008

UNIVERSITIES AGAINST HEADSCARF

Turkish university heads warn against lifting headscarf ban.

Turkey's parliament is expected debate the proposed changes to the constitution to allow the headscarf ban to be lifted some time

შეადარეთ განსხვავებული გზავნილები ჰიჯაბზე ევროპულ მედიადოკუმენტებში. რა გავლენას მოახდენს ეს გზავნილები ჰიჯაბის მიმართ მუსულმანების დამოკიდებულებაზე ბრიტანეთში და თურქეთში?

ისლამი და კულტურული იდენტობა ევროპაში

მოსწავლის სამუშაო ფურცელი

სახელი და გვარი_____ თარიღი_____

ვიდეორგოლების ნახვამდე წაიკითხეთ კითხვები. ვიდეოების ნახვის შემდეგ მოგეცემათ დრო კითხვებზე პასუხების გასაცემად.

1. რას წარმოადგენს რეჟისორის გზავნილი იმ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც დგას მუსულმანი ქალი კონკრეტულ რეგიონში (საფრანგეთი, თურქეთი, ესპანეთი, ევროპა)?

2. რა ტექნიკას იყენებს რეჟისორი მესიჯის გადმოსაცემად?